№ 2937
კვირა,
30 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2937
კვირა,
30 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 97. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°. განცხადებათა. კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს"
გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდელ
მოიპოვებს ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—15)

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა შვილებითურთ დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ შვილის ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის

ალექსანდრე გრიგოლის ძის კლდიაშვილისას,

რომელიც ტრაგიკულად მოკლულ იქმნა ოდესაში 20 ოქტომბერს, და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(3—3)

ბეჟან როსტომის ძე, პელაგია იაკობის ასული, იასონ, კონსტანტინე და ალათი ბეჟანის ძენი და ასული, ალექსანდრე როსტომის ძე, გიორგი, ილარიონ და მიხეილ საბახტარაშვილნი და გიორგი ელიავა გულთადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ორი—ძვირფას შვილის, მესამე, მეოთხე და მეხუთე—საყვარელ ძმის, მეექვსე—ძმის წულის, მეშვიდე, მერვე და მეცხრე—ბიძა შვილის, ხოლო უკანასკნელი— ცოლის ძმის!

ანდრია ბ[illegible]ჟანის ძის საბახტარაშვილისას.

დაკრძალვა 30 ოქტომბერს, მიცვალებულს სასაფლაოზე გაასვენებენ სამ საათზე.
(1—6.—1)

მეგობრები და ამხანაგები განსვენებულის

ალექსანდრე გრიგოლის ძის კლდიაშვილისა

აცნობებენ ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნება პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულის **საბას** სულის მოსახსენებლად.
(რ. 1—1)

მთავარ დიაკონი ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიისა იოსებ დავიდოვი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ოქტომბერს, ძვირფასის მეუღლის

დარია ივანეს ასული დავიდოვი

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.
(1—1)

„ალაზანი"
კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ
დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792
(10—5)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154.
(თვ.—371—16)

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ.
(თვ.—2)

კბილის ექიმი
ი. ზ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე.
(თვ.—80—22)

ელექტრო [illegible]
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარ სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. [illegible] ვის პროსპექტი № 12, სახლი მდივ[illegible].
(30—82)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18.
(წლ.)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გ უ რ გ ე ნ ო ვ მ ა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროტს., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ.
(თვ.—406—6)

სტატოსოვის და ზიკეევის
ტფილისის კბილის საექიმო სკოლაში
სწავლის დაწყების გამო დღეს, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, გადახდილი იქნება პარაკლისი სკოლის სადგომში მიხეილის პროსპექტი, ს. № 179.
სწავლა დაიწყება ორშაბათს, 31 ოქტომბერს.
(1—1)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711.
(50—368—15)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

500 მანეთი ჯილდო
დაიკარგა ქუჩაში [illegible] ფუტლიარში. მპოვნელს ვხოვთ მოიტანოს პასკევიჩის ქუჩაზე, № 9, ზემოთა სართულში.
(1—422—1).

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაკტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი ოჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს.
(150—16)

ტფილისი, 30 ოქტომბერი.

რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა მკის იმას, რაც დასთესა. იგი სულ იმის ცდაში იყო, როგორ დაეხშო გონება ხალხისათვის, როგორ ამოეგლიჯა გულიდან სიყვარული თავისუფალ ცხოვრებისადმი, როგორ გაეხადა თავის ბრძანების მონყრ ალმასრულებლად.

ასის წლობით ხალხი გმინავდა საზარელ მუხრუჭში მომწყვდეული, ასის წლობით მოთმინებით ატარებდა იგი საშინელ უღელს, ძალა გამოელია, ველარ შეძლო ცაგრძელება პირუტყვულ ცხოვრებისა.

ხალხი ადგა და მედგრად აემართა თვითმპყრობელობის წინაამდეგ. მებრძოლთა პირველ რაზმებს შეადგენენ განაპირა ქვეყნები. ბრმა პოლიტიკოსებისათვის, დამყაყებულ პატრიოტებისთვის ცხადია, რომ რუსეთის რევოლიუციის მეთაურებად უნდა განაპირა ქვეყნები გამხდარიყვნენ. ვინ არ იცის, ამბობენ ისინი, რომ განაპირა ქვეყნებს სძულთ არა რუსეთის წესწყობილება, არამედ თვით რუსეთის ხალხი? ვინ არ იცის, რომ განაპირა ქვეყნების მრავალ წლების ტკბილი ოცნებაა ჩამოშორდნენ რუსეთის იმპერიას და თავიანთი სახელმწიფოები დააარსონ?—ასე ფიქრობენ და სჩხავიან რუსეთის ყვავი პატრიოტები.

აქვთ რაიმე საფუძველი ასეთ უსირცხვილო ცილის-წამებისა, თუ ჩხავილს ერთი მიზეზი აქვს: იმათ უღიმის წარმოდგენა მძლავრ რუსეთის იმპერისა, მთლიანისა და განუყოფელისა. ასეთ მიზეზს ასახელებენ თვითონ პატრიოტები. ჩვენ-კი ვიცით, რა უფრთხობთ ძილს, რა აწუხებთ საწყლებს. რუსეთის იმპერია დღეს უზარმაზარი ორგანიზმია, სხვა და სხვა ნაჭრებისაგან შემდგარი. გაანთავისუფლეთ ნაჭრები და მაშინ მსუქან ლუკმას გამოაცლით ათას წურბელას, რომელიც მოჰკიდებია რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმს და მისის წყალობით იკვებება. გაუმაძღარი მადა, უძირო ჯიბე—აი ნამდვილი მიზეზი იმ ჩხავილისა, რომელსაც მორთავენ ხოლმე პატრიოტები, როდესაც განაპირა ქვეყანა გმინვით ამბობს: „მომეც უფლება თავისუფლად ამოვისუნთქოო".

მაშ რას უძახიან რუსის პატრიოტები სეპარატიზმს, განცალკევებას? ეხლა ყველასათვის ცხადია, რა საშინელი რეჟიმი იყო ის რეჟიმი, რომელმაც უკვე ყოველი ნდობა დაჰკარგა. ყველამ იცის, რა განსაცდელში ჩააყენა ამ რეჟიმმა რუსეთის სახელმწიფო, მაგრამ ისე კარგად არავინ არ იცის, როგორც განაპირა ქვეყნებმა. განაპირა ქვეყნები განსაკუთრებულ პირობებში იყვნენ. რუსეთის რეჟიმი იმათ ორგვარ მუხრუჭს უჭერდა, უჭერდა მაგრად, გულიანად. ერთი მუხრუჭი იყო პოლიტიკური ძალმომრეობა, მეორე—ეროვნული დევნა-გათახსირება.

არსად შუაგულ რუსეთში არა ჰქონდა ადგილი იმ პოლიტიკურ მხეცობას, რომელიც საშიში იყო განაპირა ქვეყნებში. მოიგონეთ „საქმენი !აგმირონი" მურავიოვისა, რომელმაც დაუვიწყარი სახელი დასტოვა პოლონეთის მწუხარე, შავ ისტორიის ფურცლებზედ; მოიგონეთ ბობრიკოვი, რომელიც ურცხვად ჰქელავდა და გაჰქელა კიდეც თვით იმპერატორის მიერ ნაბოძები თავისუფლება ფინლიანდიისა; მოიგონეთ დაუვიწყარი თავადი გოლიცინი და შავი დღეები იმის მეფობისა კავკასიაში. მოიგონეთ საზღვრის არ მცოდნე თვითნებობა, რომელიც ერთად ერთი ღირსება იყო განაპირა ქვეყნებში მოთარეშე პოლიტიკოსებისა, და მაშინ გაიგებთ სარჩულს იმ სიძულვილისას, რომელიც დასთესა რუსეთის მთავრობამ განაპირა ქვეყნების გულში და დღეს მოიმკო კიდეც სამკალი.

დაუმატეთ პოლიტიკურ მძიმე უღელს ნაციონალური. მოიგონეთ, რა გაფაციცებით სდევნიდა რუსეთის ბიუროკრატია ეროვნულ გრძნობის ნასახსაც-კი. გაიხსენეთ **„собачій языкъ"**, რომელიც იყო ერთად-ერთი ტერმინი რუს კულტურტრეგერებისათვის უცხო ერის ენისათვის, გაიხსენეთ სისტემატიური დევნა უცხო ერის კაცებისა ყოველ დაწესებულებიდან, ერთის სიტყვით, გაიხსენეთ პოლიტიკა გარუსებისა, და თქვენთვის ცხადი იქნება, რატომ სძულს განაპირა ქვეყნებს რუსეთის მთავრობა სულითა და გულით. რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება განაპირა ქვეყნებთან აგებული იყო ძალმომრეობაზე, უღრეს თვითნებობაზე. განაპირა ქვეყნებიც სამაგიეროს უხდიდნენ, მათი დამოკიდებულება რუსეთთან (მთავრობასთან) აგებული იყო ღრმა სიძულვილზე. რა გასაკვირველია, რომ ადამიანს სურდეს თავიდან მოიშოროს ის, ვინცა სძულს. განაპირა ქვეყნებიც ამაზე ჰყვირიან: „რუსეთის ცენტრალური მთავრობა ჩვენთვის დედინაცვალი იყო; ზრუნვის მაგივრად გვტანჯავდა და ეხლა გვსურს ჩვენ ზრუნვაზე ხელი აიღოს; ჩვენ ჩვენს თავს უფრო კარგად მოვუვლითო. ბუნებრივი სურვილია და აი ამ სურვილს უწოდებენ ყვავი-პატრიოტები სეპარატიზმს, სრულ განცალკევებას. მხოლოდ ის, ვინც მიჩვეულია სხვის სისხლის წოვნას, სხვის კისერზე ჯდომას, მხოლოდ ის დასწამებს ამისთანა ცილს განაპირა ქვეყნებს.

მაგრამ იქნება რაიმე ნიადაგი ჰქონდეს განაპირა ქვეყნებში სეპარატიზმის იდეალს და ეს აშინებს სუვორინ-გრინგმუტის კომპანიას. საერთო პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება რუსეთისა და განაპირა ქვეყნებისა ხანგრძლივი იყო. მათი ჭირი და ლხინი გაერთდა, გასაზოგადდა. ცხოვრება რუსეთის სახელმწიფოს ყოველ ნაწილისა მაგრად გადაიხლართა ურთი-ერთმანეთში. კვანძები ისე მაგრა შეიკრა, რომ მათი გახსნა შეიძლება მხოლოდ გაჭრით. გაჭრისთვის არც ერთ განაპირა ქვეყანას არ შესწევს ძალა და თუნდაც შესწევდეს, დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა მისი განხორციელება. დღეს განაპირა ქვეყნების პოლიტიკური მისწრაფება პროტესტია რუსეთის გამათახსირებელ რეჟიმის წინააღმდეგ, იმ რეჟიმისა, რომელიც კეთილს არ აყრიდა რუსეთის მკვიდრ მცხოვრებთ. განაპირა ქვეყნები რუსებთან ერთად იბრძვიან იმის დასამხობლად და ერთი მეორის მოძმე-ამხანაგები არიან. წარმოვიდგინოთ, რომ განაპირა ქვეყნებმა მოინდომეს სრული განცალკევება რუსეთისაგან, დამუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება. რა შედეგი მოჰყვება ამას? სახელმწიფო მარტოლიტონი სიტყვა კი არ არის, იგი ცოცხალი ორგანიზმია. იმას, როგორც ადამიანს, აქვს თავის ღირსების ცნობიერება, თავისი სახელმწიფო სახელი. რუსეთის სახელმწიფოც ცოცხალი ორგანიზმია. იგი შენდებოდა და იზრდებოდა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და მასთან ერთად იზრდებოდა წარმოდგენა თავის ღირსებასა და სახელზე. რუსეთის ხალხის, არა მდაბიო, არამედ კარგად განვითარებულ ხალხის გონიერებაში შემუშავებულია წარმოდგენა **„могучая Русь"** და მისი გაქარწყლება, ან შებღალვა ეროვნული ჭრილობაა, რომლის მოსარჩენადაც არაფერს დაზოგავენ. გამოაცხადონ განაპირა ქვეყნებმა აშკარად, საჯაროდ, რომ ისინი სეპარატიზმის იდეალს ეტრფიან და ხვალვე ჩამოეცლებიან დღევანდელი რუსი-ამხანაგები, თავგანწირულად მებრძოლნი განაპირა ქვეყნების ინტერესებისათვის; ჩამოეცლებიან და გახდებიან მოსისხლე მტრებად.

ვთქვათ, განხორციელდა განაპირა ქვეყნების განცალკევება. მაშინ მათი მყუდრო, შეუშფოთებელი ცხოვრება უზრუნველყოფილი არ იქნება: გვერდით ეყოლება ხალხი, რომელიც არ დაივიწყებს მის ძლიერების გაწბილებას და შურს იძიებს.

სეპერატიზმი—ბრმა ძალების გამოგონებული ხერხია, რომ წაქცეულ დაძველებულ რეჟიმის შენობა სრულიად არ დაინგრეს. განაპირა ქვეყნებს იხსნის არწივის ბრჭყალებიდან მხოლოდ ფედერატიული წესწყობილება.

წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ასეთი საქმე ემართებათ ჩვენის ინტელიგენციის ლაღად მოლიბერალე და მორადიკალე წრეებს. გურიის განსაცდელ მდგომარეობით შეძრწუნებულ განათლებულ ქართველებს, თავადებს, აზნაურებს და ბურჟუებს კეთილდღეობის სურვილმა ენა ამოადგმევინა და „მხურვალე სიტყვები" წარმოათქმევინა ლაპარაკისთვის მოქნილ მჭერ-მეტყველ ენებს. კეთილმყოფელების კეთილშობილურმა თათბირმა სწორედ კეთილშობილური ნაყოფი გამოიღო: გადასწყვიტეს დეპუტაციის პირით სთხოვონ კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს მთავრობას გურიისკენ გაგზავნილ ჯარების უკან დაბრუნება.

რა პასუხს მიიღებს ეს დეპუტაცია ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხის დამატრიალებელთაგან, არ ვიცით, რადგან ადმინისტრაციისთვის საერთოდ და მით უმეტეს უმაღლესისთვის არაფერი შეუძლებელი არ არის. იმათ მოქმედების ყოველი ნაბიჯი, დიდი იქნება თუ პატარა, ერთნაირად არის დამოკიდებული ეგრედ წოდებულ „უსმოტრენიეზე", რომელსაც ჩვენს მდაბიურს ენაზე კაცია და გუნება, ქეიფი და თვითნებობა ეწოდება. მთავრობას შეუძლიან მოიგუნებოს და ამ ჟამად თხოვნა შეიწყნაროს, ისე როგორც შეწყნარებულ იქნა ამავე შინაარსის თხოვნა თებერვალში იმავ გურიის საქმეების შესახებ. მაგრამ... ვინ არის და რა არის თავდები, რომ ხვალ მთავრობა ისევ არ გადაიფიქრებს, ხელ მესამედ არა ბრძანებს გურიის ამოგდებას „ხალხის ბედნიერებისთვის".

თუ ოდესმე კერძო შემთხვევების გაზოგადოვებას რაიმე აზრი და მნიშვნელობა ჰქონია, თუ ოდესმე საჭირო ყოფილა კერძო შემთხვევის ძირითად მიზეზის გამოძებნა და თვით იმ მიზეზის მოსპობა, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღაგმულ იქმნას განმეორება თავზარ დამცემ საზოგადოებრივ უბედურებებისა,—ასეთი დრო სწორედ ეხლა არის. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ უკვე სამსახურიდან გადაყენებულ ტრეპოვის მსგავსი „სახელმწიფო მოღვაწენი" კავკასიის ცხოვრებაში

თვალის გაფაციცებით დაეძებენ ყოველ შემთხვევას, ყოველს საშუალებას, რაიმე საბუთი დაიხვიონ ხელზე და ისეთის სისასტიკით დაერიონ მშვიდ მოქალაქეებს, რომლის მაგვარი მაგალითები ხელჩართულ და გამხეცებულ ომიანობის ისტორიაშიც-კი ძნელად მოიძებნება. დიაღ, ვიცით, რომ ხალხის თავისუფლების მტერნი ატრიალებდნენ და ატრიალებენ დღესაც ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს, და არა გვჯერა მშვიდობიანად ამოსუნთქვა შეიძლებოდეს, ვიდრე ის ჩინოსანი სახელმწიფო მოღვაწენი თავის ეხლანდელ თანამდებობის მაღალსავარძლებში ისხდებიან.

მკითხველს უჩვენოდაც არ გაუჭირდება მრავალი მაგალითით დაასაბუთოს ზემოდ გამოთქმული აზრი, მაგრამ მაინც ურიგოდ არ მიგვაჩნია საჯაროდ აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი.

კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ კავკასიის მცხოვრებთ მიმართა მოწოდებით, რომელშიაც თავისუფალ კრებების შესახებ ამბობს: კრებები 17 ოქტომბრის მანიფესტით მარტოოდენ უკიდურეს რევოლიუციონერებს-კი არ შეუძლიანთ გამართონ, არამედ ყველას, და ამიტომ ამიერიდან მე ავკრძალავ სრულებით ყოველგვარ კრებებს ქუჩებში. სწორედ განსხვავებული, „უმაღლესი“ ლოღიკაა საჭირო, რომ კრებათა თავისუფლების საყოველთაო პრინციპიდან ქუჩაში კრებების სრული აკრძალვა დაასკვნას, მაგრამ ვისაც თავისუფლების მანიფესტი თავისუფლების წინააღმდეგ ჰსურს დაატრიალოს, იმას ლოღიკისა არ შეეშინდება.

კავკასიის ნამესტნიკს სამი თანაშემწე ჰყავს, სამოქალაქო ნაწილის, სამხედრო ნაწილისა და პოლიციისა. 17 ოქტომბრამდე პოლიცია რუსეთის სახელმწიფოში უმაღლესი უწყება იყო, რადგან მთლად სახელმწიფო წყობილება პოლიციური იყო; ამ მანიფესტის შემდეგ კი პოლიციას სამუდამოდ დაეკარგა თავისი წინანდელი raison d'être. პირად თავისუფლების და ხელშეუხებლობის დაკანონების შემდეგ, პოლიცია სამოსამართლო გამომძიებლების ხელქვეითი და დამხმარე უწყება-ღა უნდა იყოს, არც მეტი, არც ნაკლები. ცხადია, კავკასიის პოლიციის უფროსს ბ-ნ შირინკინს 17 ოქტომბრის მანიფესტით სრულიად მოესპო მოქმედების ასპარეზი, მაგრამ იგი მაინც მოღვაწეობს და ამასთან ისეთის ენერგიით, რომელიც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს.

17 ოქტომბრის მანიფესტით აღიარებულია უფლებრივ წესწყობილების შემოღება რუსეთში, ხოლო კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით 22 ოქტომბერს სამოქალაქო ქონებრივი უფლებანიც-კი რეალურად უარყოფილ და შელახულ იქმნენ. ჯარმა და ყაზახებმა პატრონთა დაუკითხავად, არა თუ ნებაყოფლობით, პირდაპირ დაუკითხავად დაიჭირა კერძო პირების სახლები, სათავად-აზნაურო სკოლის სადგომი, პირველ გიმნაზიის სადგომი და ოქოევის სახლი. რის ძალით, რა უფლებით? ნუ თუ თავისუფლება კავკასიის ადმინისტრაციის თვალში ჯარს და ყაზახებს ნებას აძლევს ასეთი იცნაური ნაციონალიზაცია მოახდინონ კერძო ქონებისა.

მრავალი ამგვარი მაგალითი შეგვიძლიან მოვიყვანოთ იმ აზრის დასასაბუთებლად, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობის ორგანიზაცია და შედგენილობა 17 ოქტომბრის მანიფესტის ცხოვრებაში გასატარებლად ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამ ჟამად ესეც კმარა.

გურიის საქმეებით დაინტერესებულთ სწორედ ამ მხრივ უნდა შეჰხედონ საქმეს და, თუ მართლა საქმის გაკეთება უნდათ, და არა მხოლოდ მხურვალე სიტყვების წარმოთქმა, ამის შესაფერად უნდა მოაწყონ თავისი მოქმედებაც.

პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსეთში

(პოლიტიკური ქრონიკა)

წერილი პირველი

დიდი, ძალიან დიდი ხანია, რაც რუსეთში დაიწყო ბრძოლა ხალხის განთავისუფლებისთვის. აი საცაა ასი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ამ ბრძოლის პირველნი მსხვერპლნი დაიღუპნენ. ისტორია შეგნებულ ბრძოლისა იწყება ცნობილ დეკაბრისტების ან ეგრედ წოდებულ 121-ის პროცესის დროდან.

1815 წლიდან, დიდ ნაპოლეონის ომების შემდეგ, საზღვარ გარეთიდან დაბრუნდა ახალ აზრებით გამსჭვალული და გატაცებული რამდენიმე ყმაწვილი კაცი. ამათ გაიცნეს გერმანიაში საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოებანი და განიზრახეს რუსეთშიც ასეთ საიდუმლო საზოგადოებათა დაარსება. პირველ პოლიტიკურ საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ სამხედრო კაცები, პოლკოვნიკები ალექსანდრე მურავიოვი და თავ. ტრუბეცკოი. ამათ 1816 წელს დააარსეს „სამშობლოს ნამდვილ და ერთგულ შვილთა კავშირი“. აზრად ამ კავშირს სახელმწიფო დაწესებულებათა ცვლილება ჰქონდა. ნოვიკოვის გავლენით 1820 წელს კავშირში რესპუბლიკანურმა აზრებმა უპირატესობა მოიპოვეს საკონსტიტუციო მონარქიულ აზრებზე.

მალე დაარსდა საიდუმლო საზოგადოების სამი განყოფილება: ჩრდილოეთის საზოგადოება, სამხრეთის საზოგადოება და საზოგადოება შეერთებულ სლავიანებისა. თუმცა საზოგადოების დაარსებიდან 1825 წლამდე, ესე იგი ცხრა წლის განმავლობაში, პოლიტიკური პროგრამა არა ერთხელ შეცვლილა და თვით საზოგადოების მოქმედებაც მხოლოდ კულტურულ მუშაობით განისაზღვრებოდა, მაგრამ მაინც, მხნე და რწმენით გატაცებულ ხელმძღვანელთა მეოხებით, პოლიტიკური მიზანი ორგანიზაციისა საკონსტიტუციო რეფორმების მოხდენა იყო.

როგორც საზოგადო ისტორია რუსეთისა, ისე პოლიტიკურ მოძრაობის ისტორია ბევრ უცნაურ რამეს შეიცავს. გასაოცარია ის გარემოება, რომ რუსეთის შეგნებულ მოძრაობის პირველი მერცხლები, პირველნი მებრძოლნი მოქალაქობრივ თავისუფლებისათვის იყვნენ, თითო ოროლას გარდა, სამხედრო კაცები, გენერლიდან დაწყებული პრაპორშჩიკამდე. პასუხის გებაში, დეკაბრისტების პროცესის დროს, მიცემულ იქმნა სულ 121 კაცი. ამათგან არა სამხედრო კაცი მხოლოდ ექვსი იყო: კიუხელბეკერი, პუშჩინი, გორსკი, ტურგენიევი, კრასნოკუტსკი (სენატის პროკურორი) და ლიუბლინსკი.

უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ პირველ მებრძოლთ მიესაჯათ შემდეგი სასჯელი: ხუთ კაცს (პოლკოვნიკ პესტელს—რესპუბ. პროექტის ავტორს, პოდპორუჩიკს რილეევს, პოდპოლკ. სერ. მურავიოვ-აპოსტოლს, პოდპორ. ბესტუჟევ-რიუმინს და პორუჩიკს კახოვსკის), როგორც მოძრაობის მეთაურთ, სიკვდილით დასჯა „ნაკუწ-ნაკუწად დაფლეთით“, 31 კაცს—სიკვდილი თავის მოკვეთით, 17 კაცს—სამუდამო კატორგა, 18 კაცს—სამუდამოდ ციმბირში დასახლება, 9 კაცს სალდათად გაწესება. შემდეგში ბევრს შეუმსუბუქეს სასჯელი, ესე იგი: ვისაც სამუდამო კატორგა ჰქონდა, 20 წლით შეუცვალეს და სხვა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ხუთ მეთაურს, ამათ ბედის გადაწყვეტა დაევალა უმაღლეს სისხლის სამართლის სასამართლოს. ამ სასამართლომ ხუთ კაცს ასე „შეუმსუბუქა“ სასჯელი: ნაკუწ-ნაკუწად დაფლეთის ნაცვლად ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

ასე მიეგება რუსის მთავრობა პირველ პოლიტიკურ მებრძოლებს და პიონერებს...

მ—რი

ზავი დაარღვიეს

(სინ ოტეჩესტვადან)

17 ოქტომბრის მანიფესტმა, რასაკვირველია, სიხარული გამოიწვია იმ წრეებში, რომელნიც უფრო ენერგიულად იბრძოდნენ და იბრძვიან რუსეთის განთავისუფლებისათვის... ბრძოლა გათავებულად არ მიუჩნევიათ, დროებით შეწყვეტაც კი არ უფიქრიათ, მაგრამ მანიფესტის შემდეგ რომ ქუჩაში გამოვიდნენ რევოლიუციონური ელემენტები, აგრესიული განზრახვა არ ჰქონიათ—ისინი მხოლოდ დღესასწაულობდნენ გამარჯვების დასაწყისს და ეს ბუნებრივი მანიფესტაცია დამთავრდა სისხლის ღვრით, ცეცხლის წაკიდებით და მთელ ქალაქების დანგრევა დაწიოკებით.

რუსეთის ყოველ მხრიდან მოდის ცნობები მანიფესტანტების დაწიოკებაზე, მოკლულებზე და დაჭრილებზე... ვინ გამოიწვია ეს ძალმომრეობანი? ვინ იყო ამსრულებელი ამ ძალმომრეობათა?.. ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა პოლიციისა და ჯარის მონაწილეობა ამ საშინელ ბოროტ-მოქმედებაში...

მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტა, თანხმობით მოქმედება პოლიციისა და ჯარისა მძარცველებთან და კაცის მკვლელებთან ერთად ძველი, თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა რუსეთისათვის. მაგრამ თუ წინათ არ შეგვეძლო ხმა ამოგვეღო მთავრობის აგენტების ბოროტ-მოქმედებაზე, დღეს გაჩუმება არ შეგვიძლია. საზოგადოებამ უნდა მოსთხოვოს პასუხი მთავრობას იმ ბოროტ-მოქმედებისათვის, რომელიც მისმა აგენტებმა ჩაიდინეს თავისუფლების გამოცხადების პირველ დღესვე. თუ მთელი მთავრობა არ მიიღებს თავის თავზე დაღვრილ სისხლის ბრალს, საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს დასჯა ნამდვილ დამნაშავეთა. თუ ბრალი მთავრობის ადგილობრივ აგენტებს ედება, ეხლავე უნდა გადააყენონ თანამდებობიდან და სამართალში მისცენ. ან იქნება მამულისშვილთა სისხლი დასჭირდა ვისმე იმის დასამტკიცებლად, რომ დათმობას მთავრობის მხრივ უთუოდ არეულობა მოჰყვება? მთავრობამ, ახალმა მთავრობამ, რომელიც ნდობას თხოვს საზოგადოებას, საჯაროდ, ყველას გასაგონად უნდა გამოაცხადოს ეს. ხიშტისა და მათრახის დიქტატურასთან ბრძოლაში ახალი მთავრობა ყოველთვის იმოვის მოკავშირეს საზოგადოების ყველა პროგრესიულ ელემენტებში. მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ თუ საზოგადოების სამართლიანი გულის წყრომა არ იქნება დაკმაყოფილებული კანონიერად, 18 ოქტომბერსა და შემდეგ სისხლიან დღეებს უსაშინლესი შედეგი მოჰყვება. მოკლულ მანიფესტანტების ძვლებიდან, როგორც ვეშაპის დათესილ კბილებიდან ამოვა ლეგიონები შურის მაძიებელთა და ქვეყანა განიცდის ისეთ უბედურებას, რომელთან შედარებით უკვე განვლილი უბედურება სანეტარო მშვიდობიანობად გამოჩნდება. ვიქონიოთ იმედი, რომ სასმისი ესე აგვშორდება. მაგრამ აქვე საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული, რომ მთავრობამ პირველმა დაარღვია ზავი, დაარღვია ისეთის საშინელისა და მხეცურის ძალმომრეობით, რომლის მსგავსი არ ჩაუდენია არც ერთ რევოლიუციას, თვით უკიდურესად გამწვავებულ ომიანობის დროს.

კიდევ 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, პატრიოტულ პარტიის მეთაურობით ყაზახებმა, იუნკრობამ და სათადარიგო ჯარის კაცებმა რა ჩაიდინეს 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზედ და ტფილისის პირველ გიმნაზიაში. ამ ჟამად შევეხებით თუ რა ჩაუდენიათ „სობრანიეს“ დარბაზსა, „პურ-ღვინოს“ რესტორანსა და მუხრანის ნომრებში. ენით გამოუთქმელი და აუწერელია ის, რაც ჩვენის თვალით ვნახეთ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ერთი კვირა გავიდა ტფილისში მომხდარ საშინელ სისხლის ღვრის შემდეგ, ეხლაც რომ მიბრძანდეთ და დაათვალიეროთ „პურ-ღვინოს“ ნომრები და „მუხრანის“ სასტუმრო, გაოცდებით და არ შეგეძლებათ პასუხი მისცეთ თავს, თუ ყოველივე ის, რაც იქ მომხდარა, კაცის ხელისაგან უნდა იყოს ჩადენილი. ჯერ გარშემო რომ დაათვალიეროთ მუხრანსკისეული სახლი, ჰნახავთ, რომ მთელი შენობა დაცხრილულია ტყვიისაგან. ფანჯრები თუ ტყვიისა, თუ კეტებისა და თქ დიდი რიყის ქვისაგან არის ჩამტვრეული. სობრანიეში ყოველივე აწეწილი და მინგრეულ მონგრეული ყოფილა, ნივთების ერთი ნაწილი მიდეწილ-მოდეწილი, ხოლო მეორე დღეს, როცა ამ სახლში „ელიზავეტოპოლსკის რაზმის“ ჩაყენება გადასწყვიტეს, პოდ-პოლკოვნიკის თავ. გიორგი დავ. წულუკიძის მეთაურობით გადარჩენილი ნივთები, ავეჯეულობა, ხალიჩები, სარკეები ორ ოთახში შეუყრიათ და დაუკეტიათ. სობრანიედან როცა ადიხართ მაღლა სართულში, სადაც დავით მაჭავარიანს ჰქონია აღებული მუხრანის სასტუმრო, თვალ-წინ გეშლებათ საშინელი სურათი. აქ 6 ოთახამდე სჭერიათ კერძო მობინადრეებს. აღარც ერთს ოთახში აღარაფერი მთელი არ დაუტოვებიათ. ფანჯრები ჩამტვრეულია, კარებები ჩალეწილი, ქაღალდები, გაზეთები, წიგნები, ტანისამოსი, თეფშები, ბოთლები და სხვა მრავალი ნივთები წასაღებად გამოუსადეგარი ყოველივე ნაკუწ-ნაკუწად არის ქცეული და ერთმანეთში არეული. გაუტეხიათ კასა და, როგორც ამბობენ, წაუღიათ 150 მან. ფული. კედლებზე დიდი ბროლის საათები სულ დამტვრეული ჰყრია. ღვინო თუ სადმე უნახავთ, ბოთლებისათვის თავები გადაუგლეჯიათ, დაულევიათ. მიწის მზომელ ანდერსის სამს ოთახში, სადაც მას ჰქონია 9,000 მან. საღირალი ნივთები, დაულეწიათ ყუთები, რაც ძვირფასი ყოფილა, წაუღიათ, ხოლო რაც გამოუსადეგარი, მიულეწიათ. როცა ამ სახლს ვათვალიერებდით, აქვე დაგვხვდა ანდერსი, რომელიც ბ-ნს წულუკიძის ნებართვით ასულიყო თავის ოთახში დაქაღალდების ნაფლეთებში ეძებდა რაღაც დაკარგულ საჭირო საბუთის ქაღალდებს. აქვე მეზობლად სცხოვრობდა კნ. მაჟაშვილისა, რომელსაც 2000 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები ჰქონია და როცა მეორე დღეს მისულა, მარტო-და წიგნების ნაგლეჯები უნახავს. გულ-შემოყრილი ქალი ხელცარიელი დაბრუნებულა და ნათესავებში შეუფარებია თავი. კნ. მაჟაშვილის მეზობლად სცხოვრობდა ერთი მანდილოსანი, ტომით რუსი, რომლის გვარი ვერ შევიტყეთ, რომელსაც მარტო ძვირფასი ოქროსა, ბრილიანტისა და სხვა ნივთები 1,500 მანეთისა დაჰკარგვია. იქვე მდგარ გამომძიებლის სადგომიც ამგვარადვე არის გაძარცული. გრიგოლ შჩეგოლევის ოთახიდან, რომელშიაც მას ძვირფასი სურათები და ნივთები ჰქონდა, ყველაფერი, რაც ხეირიანი და ფასიანი ყოფილა, წაუღიათ. ნომრების აივანზე ოთხს ადგილას ეხლაც ერთის გოჯის სისქეზე არის გამხმარი შეტბორებული სისხლი. პურ-ღვინოში სულ ყველაფერი მიუნგრევ-მოუნგრევიათ. გაუტეხიათ ღვინის საწყობი, იქიდან 800 ბოთლამდე ღვინო გამოუტანიათ და დაულევიათ. მამინაშვილს, როგორც თვით გადმოგვცა, 4,000 მან. ზარალი მოსვლია. სობრანიედან ორას ადამიანამდე გადარჩენილა ერთის აფიცრის დახმარებით, მაგრამ ვაი იმ გადარჩენას. როცა ისინი წამოუყვანიათ საკომენდანტო სამმართველოში და მისულან გულგახეთქილები ორიანტის სასტუმროსთან, აქ მათ დარევიან ხულიგანები და უცემიათ. ორიანტთან ერთს ჯარის-კაცს ზურგში ხიშტი ჩაუკრავს ვაჭრის მიხეილ აკოფოვისათვის და დაუჭრია. კეტით ხულიგნებს თავი გაუტეხიათ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ბუხჰალტერის გარეწელოვისათვის, ვაჭარ ობოვიანცისათვის რაღაც იარაღი დაურტყამთ და უბა მოუმტვრევიათ, ტფილისის ქალაქის ვაჭართა მამასახლისად ნამყოფი მოხუცებული 75 წლის დავიდოვი დაუჭრიათ და უცემიათ შეუბრალებლად; ორი თვალი ამოუგდებინებიათ ცემით ვიღაც შამშინოვისათვის, კეტი დაურტყამთ თავში და გადაუხეთქიათ მომრიგებელ მოსამართლის ბოქაულის შატბეროვისათვის. ყოველივე ამის მნახველი ტფილისის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი ბ-ნი ახნაზაროვი, თვითვე გალახული, საშინელს სურათს გადმოგვცემს. კაცი დღესაც გონებაზედ ვერ მოსულა და ვერ აუხსნია, თუ ასე მხეცურად და ბარბაროსულად ხალხის პიროვნება შეილახებოდა იმ დროს, როცა კავკასიის უმაღლესი მთავრობა იქვე ყოველსავე ამას თავს დაჰყურებდა.

ახალი ამბავი

◆ **გურიის საქმეების** გამო განსაკუთრებული დეპუტაცია უკვე იყო ი. დ. მალამასა და ნ. ა. სულთან-კრიმ-გირესთან. ორივემ დახმარება აღუთქვა.

◆ „კავ.“-ს ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია ნამესტნიკის ბრძანება **ქუთაისის გუბერნიაში ხელახლა საომარ დროის წესების შემოღების** შესახებ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მე-20 დივიზიის უფროსი გენერალი შიმკოვსკი და არა გენ. ალიხანოვი, როგორც ხმა იყო.

◆ როგორცა ვწერდით, 27 ოქტომბერს, ღამე, ავჭალასთან, მე-986 ვერსზე, რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭებული აღმოჩნდა. ფიქრობენ ლიანდაგი განგებ დაერღვიოთ, რადგან იმ დროსთვის უნდა გაევლო **სამხედრო მატარებელს**, რომლითაც ერევნის პოლკი მიდიოდა ქუთაისის გუბერნიაში. სამხედრო მატარებლის მაგივრად პირველად გაუშვეს ორთქლ-მავალი და ერთი ვაგონი. ორთქლ-მავალი მიწაში ჩაიფლო, მემანქანე და მისი თანაშემწე დაშავდნენ. ლიანდაგი შეაკეთეს 28 ოქტომბერს და შუადღის 2 საათზე მატარებელი გაატარეს. 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, მე-264 ვერსზე ვიღაცას დაერღვია ერთი მხარე ლიანდაგისა, მაგრამ დროზე შეუნიშნავთ.

◆ რადგან ხაშურის მხარეს მალ-მალ **ახდენდნენ ლიანდაგს**, რკინის გზის მემანქანეთ განუცხადეს უფროსს, ხაშურისაკენ ვერ ვივლით, სანამ ხაზი არ დაწყნარდება და არ მოისპობა ლიანდაგის წახდენაო. დაინიშნენ სარკინის გზო ბატალიონის მემანქანენი და ისინი ივლიან ხაშურის მხარეს. პირველი მატარებელი 28 ოქტომბერს წავიდა სამტრედიამდის. სამტრედიის სადგურის მოხელენი სამსახურში გავიდნენ 28 ოქტომბერს, მაგრამ ტელეგრაფი მაინც შესწყდა და აღარაფერი ამბავი ვიცით, მატარებელი გასცდება თუ არა სამტრედიას.

◆ **თელავი.** გლეხთა საერთო მოძრაობის შემდეგ მეტად საყურადღებო იყო წლევანდელი გაწვევა სამხედრო ბეგრის მოსახდელად. 15 ოქტომბრისთვის თელავში გაღმა მხრიდან დაიბარეს 200-მდე ყმაწვილი. კენჭის ყრამდე მამასახლისებმა განუცხადეს სამხედრო საკრებულოს, რომ ჩვენ როგორც ახალგაზრდებმა, ისე მათმა მშობლებმა, დაგვავალეს გადმოგცეთ მათი გულის ნადები. გთხოვენ იშუამდგომლოთ ნამესტნიკის წინაშე, რომ სამხედრო ბეგარა ამიერ-კავკასიაში მოახდევინონო. სამხედრო საკრებულომ ეს თხოვნა მაშინვე დეპეშით აცნობა გუბერნატორს.

ფელეტონი

*
* *

მზეს ფერი წასული ჰქონდა.

სამგლოვიარო ღრუბელთა ზეწარი ბნელად მოსავდა მის ბრწყინვალე სახე-პირს.

ეხლა-კი ქართა ქროლვისაგან ღრუბლები მიიფანტებიან სირცხვილეულნი.

მაგრამ...

მზე, თითქო, შუაზეა გაყოფილი.

ნახევარი ელვარებს ათას გვარ ცხოველმყოფელ შუქათ, რომელიც მოციმციმებს ჩვენსკენ საუკეთესო მახარობლად.

ნახევარი-კი ისევ ჩაბნელებულია და შავ ძაძაში მორთული.

ერთი ჰიატი... ჯერ ერთი მკვირცხლი და პირდაპირი სხივი არ წამოსცდენია.

პირ-იქით იმის აღნაქვსზე, თითქოს, მზაკვრული რამ ღიმილი იხატებაო.

ჰაერშიაც, ჩვენს ახლო, თითქოს, გარკვევით მოისმის სვავთა ხარხარი.

სვავი და მისი ხარხარი!

რა შეუწყობელი ჰარმონიაა იქვე გამომკრთალ ციურ ჭიკჭიკთან!

ეს ფრთოსანთა წმინდა საგალობელი, თითქოს, იმ მზის ერთი მხრის სხივებს შოაქვთ.

მათში გახვეული, მისი შარვანდედით მოსილი აღწევს ჩვენს ყურამდის.

და იმავ დროს ეს ბნელი მხარე მზისა, ეს სვავთა შემზარავი ხმები!

არა, გული არ მეწყლება!

თანდათან ძლიერდება გასხივოსნებული ღაღადისი.

განიბნევა ეგ წყვდიადი ნახევრის მმოსავიც და მასთან განქარდება ხმაურობა სვავთა.

მხოლოდ ეს კია, თვითონ მზე ხომ არ ილმიჭება?

შალვა დადიანი.

ცხოვრების სახის წინაშე

აღკრძალული მოთხრობა მაქსიმ გორკისა.

ცხოვრების მკაცრ სახის წინაშე ორი ადამიანი იდგა, ორივე მისი უკმაყოფილო, და როდესაც ცხოვრება შეეკითხა: „რას მოელით ჩემგანაო?“, ერთმა მათგანმა მოქანცულის ხმითა სთქვა:

— მე აღშფოთებული ვარ შენის წინაუკმოობის სისასტიკით, გონება ჩემი ამაოდ სცდილობს მიხვდეს აზრს არსებობისას, შენს წინაშე სული ჩემი აღსავსეა გაუგებრობის წყვდიადით. ჩემი თვით-შეგნება მეუბნება, რომ ადამიანი საუკეთესო ქმნილებათაგანია...

— რა გინდა ჩემგან? გულ-ცივად ჰკითხა ცხოვრებამ.

— ბედნიერება!., ჩემის ბედნიერებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ შენ მოარიგო ორი საფუძველი ჩემის სულის წინაუკმოობისა: ჩემი „მინდა“ შენს „მოვალე ხარ“-თან.

— მხოლოდ ის ისურვე, რასაც ჩემს წინაშე მოვალე ხარ,—მკაცრად უთხრა ცხოვრებამ.

— თავს მსხვერპლად ვერ შემოგწირავ! — შესძახა ადამიანმა: მე მსურს ცხოვრების მბრძანებლად ყოფნა და იძულებულ ვარ ქედი მოვიხარო მისთა კანონთა უღელ ქვეშ—რადა?..

— სადად, ურაღოდ სთქვი შენი სათქმელი!—დაიძახა მეორემ, რომელიც უფრო ახლო იდგა ცხოვრებასთან, მაგრამ პირველმა ყურადღება არ მიაქცია ამხანაგის სიტყვებს და განაგრძო:

— თავისუფლებას ველტვი—მინდა ჩემის სურვილისამებრ ვიცხოვრო. არა მსურს მოვალეობისა გამო ჩემს მახლობელს ან ძმად გავუხდე, ან სახურად; ვიქნები იმად, რასაც თავისუფლად მოვისურვებ—მონად ან ძმად. არ მინდა საზოგადოებაში ქვად ვიქმნე, ქვად, რომელსაც იქ დასდებს ხოლმე საზოგადოება, სადაც და როგორც მოისურვებს თავისის კეთილდღეობის საპატიმროთა ასაგებად. მე ადამიანი ვარ, სული და გონება ცხოვრებისა, და თავისუფალი უნდა ვიყო!

— მოიცა,—უთხრა ცხოვრებამ და მკაცრად ჩაიცინა:—შენ ბევრი ილაპარაკე და ისიც ვიცი, რასაც შემდეგ იტყვი. თავისუფლად ყოფნა გინდა! ვინ გიშლის, იყავი! შემებრძოლე, დამამარცხე და გამიბატონდი; მე-კი შენ მონად გადავიქცევი. ხომ იცი, მე ვნებას მოკლებული ვარ და გამარჯვებულთ ყოველთვის ადვილად ვემორჩილები ხოლმე. მხოლოდ უნდა დამამარცხო-კი! შეგიძლიან თავისუფლებისათვის თავი გამოიდო და შემებრძოლო? ძალა და ღონე მოგდევს, რომ დამამარცხო? იმედი გაქვს შენის თავისა?

ადამიანმა მწუხარედ სთქვა:

— შენ მე ჩემსავ თავთან ბრძოლაში ჩამხვიე, შენ გაჩალხე და გააალმასე გონება ჩემი დანასავით, იგი შეეხო ჩემს გულს და განგმირა!

— მკვახედ ელაპარაკე, ნუ შესწუწუნებო,—სთქვა მეორემ.

პირველმა-კი განაგრძო:

— მინდა შევისვენო შენის მტარვალობისაგან. ოო, ნება მომეცი ბედნიერება ვიგემო!

ცხოვრებამ კვლავ ჩაიცინა:

— შენ ის მითხარ, როცა მელაპარაკები, მედავები, თუ თხოულობ?

— გთხოვ,—უთხრა ადამიანმა.

— მთხოვ ჩვეულ გლახაკსავით, მაგრამ უნდა მოგახსენო, ჩემო საბრალოვ, რომ ცხოვრება მოწყალებას არავის აძლევს. იცი რა გითხრა? თავისუფალი კი არა თხოულობს, თვითვე იღებს ჩემთა საუნჯეთ... შენ-კი, შენ მონა ხარ შენთა სურვილთა, სხვა არაფერი. თავისუფალია ის, ვისაც იმდენი ძალა და ღონე შესწევს, რომ ყოველი სურვილი მოიკლას და მთელი თავისი არსება ერთს საგანს ამსახუროს და ანაცვალოს. მიხვდი? განმშორდი!

იგი მიხვდა და ძაღლსავით მიეგდო ვნება-მოკლებულ ცხოვრების ფეხთა წინაშე, რომ ჩუმად ჰკრიფოს მისის ნასუფრალიდგან გადმოვარდნილი ნამცეცები.

მაშინ მკაცრმა ცხოვრებამ თავისი უფერული თვალები მეორე ადამიანს მიაპყრო. ამ მეორეს ტლანქი სახე ჰქონდა.

— შენ რაღას თხოულობ?

— სათხოვნელი რა მაქვს, მე ვძიობ და გედავები.

— რასა?

— ჭეშმარიტებას. მოიტა აქა. დანარჩენს მერე გამოგართმევ, ჯერ-კი ჩემთვის სამართლიანობა, ჭეშმარიტებაა საჭირო. დიდხანს გელოდე, ბევრი ვითმინე, შრომასა და ჯაფაში ვათენ-ვაღამებდი, დასვენებასა და ნათელს მოკლებული! ველოდი, მაგრამ... ეხლა-კი კმარა! დროა მეც დავიწყო ცხოვრება! სადაა ჭეშმარიტება?

ვნება-მოკლებულმა ცხოვრებამ შეუშფოთრად უპასუხა: **„აჰა, წაიღეო“.**

ა. ახნაზაროვი.

დეგ საკრებულომ განაგრძო მოქმედება. 19 ოქტომბერს უნდა დაეფიცებინათ და დროებით დაეთხოვათ, მაგრამ გამოძახებისას არავინ გავიდა. ყველამ ერთხმად სთხოვეს საკრებულოს მოესმინა მათი სათხოვარი. თითქმის ორი საათი ილაპარაკეს: ფიცზე უარი განაცხადეს, მხოლოდ მაშინ დავიფიცავთ, თუ სხვაგან-კი არა, თელავში მოგვახდევინებთ სამხედრო ბეგარას, უცხო ქვეყანაში ვიხოცებით და ოჯახსაც ვაკლდებით და ხელმწიფესაც, ამასთან თუ 4 წლის მაგიერ 2 წელიწადი იქნება სამსახურიო. ჩვენ წინააღმდეგობის გაწევა არ გვინდა,—განაგრძეს ახალგაზრდებმა,—მაგრამ ეხლავე გადაჭრით გიცხადებთ, ჩვენ სხვაგან ვერ წავალთ და ისევ აქ, ჩვენ სამშობლოში დავიხოცებითო. ესენი სოფლებში დაითხოვეს მეორე დღეს თელავის ქვემო მხრიდან იყვნენ მოწვეულნი. ესენიც გამოცხადდნენ. პირველ დღეს სიები შეამოწმეს, მეორე დღეს კენჭი უნდა ამოეღოთ, მაგრამ დარბაზში არავინ შესულა. ყველანი ბაღისაკენ გაემართნენ „ურა“-ს და „არ გვინდას“ ძახილით. ვნახოთ როგორ გათავდება საქმე.

◆ სამშაბათს, 1 ნოემბერს, ნაძალადევში, დილის 11 საათზე, გაიმართება ტფილისის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა **მიტინგი** სწავლის აღკვეთის თუ დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ გაფიცულების დროს **ტრამვაის მოსამსახურეებმა** მოთხოვნები წარუდგინეს დირექტორს 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და სხვათა შესახებ. დირექტორმა ზოგი მოთხოვნა დააკმაყოფილა; ხოლო რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დროს დირექტორმა განაცხადა, საჭიროა ამის შესახებ ქალაქის გამგეობას მოველაპარაკოთო.

◆ ტფ. ქალაქის მცხოვრებთაგან წელს **კენჭის ამოსაღებად** გაწვეული იყო 656 კაცი. ჯარში უნდა ჩაერიცხათ 250 კაცი, მაგრამ ცოტანი გამოცხადდნენ, ჩარიცხეს მხოლოდ 130 ახალგაზდა. ზემოდ აღნიშნული რიცხვი შევსებული იქნება 1 და 2 ხარისხის შეღავათიანთაგან.

◆ 12 ოქტომბერს 1905 წელს **„დაშნაკცუთიუნის პარტიამ“** პროკლამაცია გამოსცა მოქალაქეთა მიმართ, რომელშიაც აცხადებს, რომ ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის გამო ის ხუთი ბრალდებული, რომელთაც სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, უდანაშაულონი არიანო; რომ ეს „ღვაწლი“ ჩაიდინესო ჩვენმა ამხანაგებმა, რომელნიც თავისუფლად და შიშს გარეშე იმყოფებიანო. ამიტომ „პარტია“ თხოულობს, რომ საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს და მოითხოვოს უდანაშაულოდ ბრალდებულთა გამართლება, რათა უმანკონი არ დაისაჯნენ სიკვდილითაო.

◆ ქართველთა ერთ წრეს აზრადა აქვს დააარსოს ტფილისში **ქართული პოლიტიკური კლუბი.**

◆ ეხლა ირკვევა, რომ 22 **ოქტომბრის აკლების დროს** გაუძარცვავი არავინ გაუშვიათ, თვით პატარა გიმნაზიელებისთვისაც-კი წაურთმევიათ ორ-ორი და სამ-სამი მანეთი. გაძარცვეს „პურ-ღვინო“, იმის წინ ხილის მაღაზია, მუხრანის ნომრები, სხვა სადგომები და მაღაზიები, ბევრი კერძო კაცი მხოლოდ ფულით გადარჩა სიკვდილს—თავი გამოისყიდა. სხვათა შორის „ივერიის“ რედაქტორს ბ-ნ გოგიჩაიშვილს წაართვეს ოქროს საათი და 95 მანეთი.

◆ მთელი პირველი გიმნაზია, რომელიც 22 ოქტომბერს **ჯარმა და ხულიგანებმა აიკლეს**, ფიზიკურ კაბინეტისა და წიგნთსაცავის გარდა, ტფილისის პოლკს დაეთმო ის ნივთები, რაც გიმნაზიაში ინახებოდა: ბავშვების საცვლები, ტანისამოსი და სხვა, სულ ერთიან დაიტაცეს თურმე.

◆ მიწის მზომელმა ანდერსმა გუშინწინ პოლიციის უფროსს გენ. შირინკინს აცნობა **თავის გაძარცვის ამბავი 22 ოქტომბერს.** ანდერსი კიევიდან ჩამოსულა და ჩამომხტარა „მუხრანის“ სასტუმროში, სადაც ჰქონია 180 ფუთამდე ნივთი, 9000 მანეთისა. ყველა ეს ნივთები, როგორც თვითონა სწერს, 20 წლის განმავლობაში დიდის შრომით მოუპოვებია. ანდრესსი სთხოვს, მთავრობამ უზღოს ეს ზარალი.

◆ 15 ოქტომბერს სასტუმრო „სვეტის“ მახლობლად ვიღამაც **მოჰკლა უბნის ზედამხედველი ზბოროდოვსკი.** როგორც ვწერდით, ყაზახებმა სროლა ასტეხეს მაგრამ მოკვლით ვერავინ მოუკლავთ. ზბოროდოვსკის მკვლელობაში ბრალსა სდებენ ოზურგეთის მცხოვრებს ჭანტურაიშვილს. ამ საქმეს კავკასიის სამხედრო სასამართლო განიხილავს 2 ნოემბერს.

◆ ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის საბჭოს გამართოს კრება. კრება არ უნდა გაიმართოს კვირა-უქმე დღეებში. **პირველი კრება მოხდება** ხვალ, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ და განიხილავს შემდეგ საგნებს: მოხსენება საბჭოს სხდომის განგრძობის შესახებ; მოხსენება ქალაქის მოურავის მოადგილისა 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო და სხვა.

◆ ბათუმის ქალაქის საბჭომ დეპეშით სთხოვა ნამესტნიკს, **მოსპოს ჟლეტა-ხოცვა** გურიაში და ნება მისცეს ბათუმის მცხოვრებთა მიერ ამორჩეულ კაცებს მოელაპარაკონ გურულებს მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლად.

◆ მუხიანის სადგურზედ გაფიცვის დროს 23—26 ოქტომბერს **გაუძარცვავთ 13 დატვირთული ვაგონი.**

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, **ინჟენერი ივანოვსკი** 28 ოქტომბერს პეტერბურგს წავიდა. იმის თანამდებობის ასრულება დაევალა ინჟენერ რახმანინს. როგორც ვწერდით, ივანოვსკი აღარ დაბრუნდება.

◆ როგორც გავიგეთ, იმ ჯარს, რომელიც „ტფილისის სობრანიე“-შია, სხვაგან გადაიყვანენ. განკევიჩის ფოტოგრაფიისა და „ტფ. ლისტოკის“ რედაქციიდან **ჯარი უკვე გამოიყვანეს.**

◆ ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო, ვითომ გენერალ გუბერნატორს 50 მან. დაეჯარიმებინოს ქალაქის მოურავის მოადგილე ხმოსანთა თათბირის გამართვისა გამო. ეს ამბავი შეცდომით შეგვეპარა.

მატროსების აჯანყება კრონშტადტში

(დეპეშათა სააგენტოების ცნობებით)

კრონშტადტის არეულობა დაიწყო 26 ოქტომბერს საღამოთი მეცხოვრე ბატალიონში, სადაც ორმოცი სალდათი დაატუსაღეს. როდესაც განიზრახეს ამ დატუსაღებულთა გაგზავნა ფორტებში, ბაქანზე შეკრებილმა მატროსებმა და მუშებმა ნება არ მისცეს გაეგზავნათ და ყველანი განათავისუფლეს. შეკრებილთ რამდენჯერმე დაახალეს თოფები და მოჰკლეს რამდენიმე კაცი.

ეს ამბავი ხელად მოედო ქალაქს და საათის ექვსზე შეკრებილმა მატროსებმა გაანადგურეს აფიცერთა საკრებულო. აფიცრები დაიმალნენ უკანა კარებიდან. საკრებულოს განადგურების შემდეგ, მატროსები დაერივნენ მაღაზიებსა და ღვინის სავაჭროებს, საღამოს, ასე 10 საათზე გამოიწვიეს მებრძოლი როტები, რომელთაც წრე შემოავლეს მეამბოხეთ და ტყვია დაუშინეს. მეამბოხენი დაიმალნენ, მაგრამ ხელახლა შეიკრიბნენ. მებრძოლი როტები აღარა სჩანდა. ქალაქს აკლება დაუწყეს. მოწინააღმდეგეთ ჰხოცავდნენ, ცეცხლის მქრობელთ არ უშვებდნენ ცეცხლ წაკიდებულ შენობასთან. გადასწვეს მთელი უბნები და ქუჩები.

აჯანყდნენ 12 ეკიპაჟის მატროსები, მენაღმენი და არტილერისტები. დანარჩენ 8 ეკიპაჟს თუმცა არეულობაში არ მიუღია პირდაპირი მონაწილეობა, მაგრამ არც ხელი შეუშლია მეამბოხეთათვის. აჯანყებულთა რიცხვი 14 ათას კაცს აღემატება. მთელი გარნიზონი კრონშტადტისა 22 ათას კაცს შეიცავს. მღელვარება არ შეწყვეტილა. კერძო სადგომებს ხელს არ ახლებენ. მცხოვრებლები ფორტებს აფარებენ თავს, რომელიც მეამბოხე ჯარის ხელში არ გადასულა. მომოსაშველებლად გამოგზავნილი დრაგუნთა 4 ესკადრონი არ გადაუშვეს ნაპირზე, მაგრამ საღამოთი მოახერხეს ფორტებიდან მათი გადმოყვანა; გადმოიყვანეს აგრეთვე ომსკისა და ირკუტსკის ქვეითა ჯარი, 16 ტყვიის მტყორცნელი ალექსანდრე-ნევსკის ტყვიის მტყორცნელთა როტისა. მოვიდა აგრეთვე ჯავშნიანი „იმპერატორი ალექსანდრე II“, სანაღმო ტრანსპორტი „ვოლგა“ და რამდენიმე ნაღმოსანი. დანარჩენი ჯარი ხვალ მოვა დილით. ცნობა არის ვითომც კაპიტან ესსენს შეეკრიბოს მატროსები და სიტყვით მიემართნოს მათთვის, რის შემდეგაც ათასი მატროსი გამოსულა და უკისრნია აჯანყებულთა დაწყნარება. ყველგან გაფუჭებულია ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები.

დღეს, ღამით, პეტერბურგიდან გაჰგზავნეს კრონშტადტს რამდენიმე ბატარეია ბრძოლისთვის გამზადებული.

აჯანყების ერთ-ერთ ძირითად მიზეზთაგანი ის იყო, რომ კრონშტადტის ეკიპაჟებში ჩარიცხეს 400-ზე მეტი მატროსი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სხვა ქალაქებში მომხდარ არეულობებში.

მღვდელი იოანე კრონშტადტელი ღამე გაიპარა კრონშტადტიდან.

27 ოქტომბერს ღამე ძლიერი პირის-პირი სროლა იყო სევერნი ბულვარზე, რომლის მახლობლადაც გემების მისადგომი ადგილებია. ჯარი ყველას ესროდა, ვინც ბულვარზე გამოჩნდებოდა, რათა ამით დაეცვა გემების სადგომი ადგილი ცეცხლის წაკიდებისაგან. დღეს დილით პეტერბურგიდან მოვიდნენ პავლოვსკი და პრეობრაჟენსკი პოლკები. ყველა ქუჩები ჯარის ხელშია. მეამბოხეთ კარები ჩაიკეტეს ფლოტის ჯარების სადგომში. მაღაზიები და სავაჭროები მარტო ხულიგანებმა გაანადგურეს. მატროსები ამტვრევდნენ მხოლოდ.

† საბა კლდიაშვილი

დადგა აღსასრული დახავსებულ სულის შემხუთველ ცხოვრებისა, მას უკვე წესს უგებენ და მით უფრო მეტის სიმწარითა და საზარებით ებინება, არ ზოგავს არც ჩვილ ბავშვს და არც უძლურ მოხუცს. ჰკლავს შეუბრალებლად უბრალოსა და ბრალიანს, მეცნიერსა და მიყრუებულ სოფლის გლეხს. უამრავია „მსხვერპლი მომაკვდავ წესწყობილებისა და ამ მსხვერპლთ შორის მოჰყვა ახალგაზდა ქართველი მეცნიერი საბა კლდიაშვილიც.

საბა კლდიაშვილი კიევის უნივერსიტეტის ლაბორანტი იყო, ლაბორატორია უყვარდა და გულდასმით აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ წმინდა მეცნიერება ვერ აკმაყოფილებდა მის ჰუმანიურ, კაცთმოყვარე ბუნებას. უკანასკნელ დღემდე მხურვალე მონაწილეობას იღებდა სტუდენტების და უნივერსიტეტის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის ცხოვრებამ ასეთი მღელვარე ხასიათი მიიღო. საბა კლდიაშვილს უყვარდა თავისი მეცნიერება, მაგრამ კიდევ უფრო ადამიანი უყვარდა. მას არ შეეძლო ჩაკეტილიყო ოთხ კედელ შუა იმ დროს, როცა უკეთილშობილესი ნაწილი საზოგადოებისა თავგამოდებული ებრძოდა თვითმპყრობელობის ბნელ ძალებს; ისიც ქუჩაში გამოვიდა სტუდენტებთან ერთად და ჯალათის ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრაფა იმედით სავსე ახალგაზდა მეცნიერს. დღევანდელ პირობებში ქუჩაზე ტყვით სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა, შევეჩვიეთ და შესაფერად აღარ გვაღელვებს. მაგრამ ვინც საბა კლდიაშვილს პირადად იცნობდა, არ შეიძლება ტრაგიკულად არ ეჩვენოს საბას სიკვდილი კიევის ქუჩაზე.

საბა კლდიაშვილი ბუნებით მეტად კეთილი, ტკბილი და ფაქიზი ადამიანი იყო; მას არ შეეძლო ძალისათვის მიემართნა და ვისიმე პიროვნება შეელახა. თვით უკიდურეს გულმოსულობის დროსაც კი არ ავიწყდებოდა: ადამიანის ღირსება არც თავისი და არც მოწინააღმდეგესი, და ეს თვისება იყო ბუნებრივი, თანდაყოლილი და არა აღზრდით შექმნილი.

ვ.

პობედონოსცევი

(რუსულიდან)

— მე ისეთი სულელი არა ვარ, მინისტრობა ვიკისრო კონსტიტუციონურ სახელმწიფოშიო,—უთქვამს თურმე პობედონოსცევს, რომელიც თავისუფლების ლანდსაც კი ვერ იტანდა და მანიფესტის გამოცხადების დღეს ქვესკნელში ჩავარდა.

და არც შეიძლებოდა, სხვანაირად მომხდარიყო. გარიყვლდება თუ არა, ჭოტი და ბუ გარბის, რომ სიბნელეს შეაფაროს თავი, შორს სინათლისა და სიცოცხლისაგან... აქედან უბედვრიან მთელ მსოფლიოს და სწყევლიან მზეს.

იჯდეს ბნელაში თავის ტოტზე ის ჭოტიც, რომელიც უწმინდეს სინოდისაგან გაჰფრინდა, და განგებამ ხანგრძლივი სიცოცხლე მაინიჭოს, რომ საკუთარის თვალებით დაინახოს ახალი ცხოვრება, იგრძნოს გამარჯვება იმ თავისუფლებისა, რომელიც მან რუსეთის ხალხს მოჰპარა და თვითმპყრობელობას ცხრა-კლიტულში შეანახვინა. ეს იყოს მისი სასჯელი და მთელმა რუსეთმა უნდა იმღეროს: „მრავალჟამიერ კონსტანტინე პობედონოსცევს, მრავალჟამიერ!“

რუსეთი

შავ რაზმების მოქმედება ანუ კონტრრევოლიუცია. რუსეთის ბნელი ძალები, პოლიციის გაწვრთნილ ხელმძღვანელობით მთელ რუსეთში ამოძრავდნენ, შეუბრალებლად ქლეტენ ხალხს და სისხლსა ღვრიან, რომ განახლებულ ცხოვრების მსვლელობა შეაჩერონ და ძველი ბატონობა შეინარჩუნონ. უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში არ დარჩენილა ერთი პატარა კუთხე, რომ შავ რაზმებს თავისებური საგმირო საქმეები არ ჩაედინოს. უფრო მეტის სიძლიერით, რასაკვირველია, დიდ ქალაქებში იჩინა თავი კონტრ-რევოლიუციამ. მაგრამ მოსკოვსა, პეტერბურგს და ოდესას არც სხვა ქალაქები ჩამორჩენია. დიდი უბედურება დატრიალებულა ქ. ტვერში თვითონ მანიფესტის გამოცხადების დღეს, 17 ოქტომბერს. ამ დღეს შეკრებილან საერობო გამგეობის მოსამსახურენი თავიანთ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად. საღამოს ხუთ საათზე შენობას გარს შემორტყმია შავი რაზმელები, ქვები დაუშენიათ ფანჯრებისათვის და უცდიათ შენობაში შესვლა. მაგრამ რაკი ვერ მოახერხეს, შენობას ცეცხლი წაუკიდეს. ეს უბედურება თითქმის ოთხი საათი გაგრძელდა და არც ჯარსა და არც პოლიციას არავითარი ღონისძიება არ უხმარია შავ-რაზმელების წინააღმდეგ: არხეინად იდგნენ ახლო და გულდამშვიდებული შესცქეროდნენ ამ საშინელებას. ცეცხლმა გარეთ გამორეკა ალყა შემორტყმულები და მაშინვე უწყალო ცემა-ტყეპა ასტყდა. ბევრი მძიმედ არის დაშავებული და დასახიჩრებული.

20 ოქტომბერს მოსკოვში დატრიალებულა საშინელი ამბები, თუმცა 22 ოქტომბრის მოწმე ტფილისელებისათვის საკვირველი არა უნდა იყოს რა. პოლიციის მიერ მოკლულ ბაუმანის დასაფლავებიდან ბრუნდებოდა ხალხი და ერთი ნაწილი ამ ხალხისა უნივერსიტეტს რომ მიახლოვებია, მანეჟიდან ყაზახ-რუსებს სროლა აუტეხიათ და 50 კაცი გამხდარა მსხვერპლი ველურობისა და აღმაშფოთებელ ძალმომრეობისა.

პეტერბურგში 18 ოქტომბერს 5—6 ათასი კაცი შეგროვილა გოროხოვაიასა და ზა[illegible]როდნი პროსპექტის კუთხეში. ერთი [illegible]ენტი ფონარის სვეტზე ასულა და სი[illegible]უმართავს ხალხისათვის. ამ დროს სემიონოვ[illegible] პოლკის სალდათებს სროლა დაუწყიათ და მოლაპარაკე სტუდენტი და ერთი მისი ამხანაგი იქვე მოუკლავთ. სროლა არ შეუწყვეტიათ და შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გაქცეულა. ადგილზე გვარდიელების ესკადრონი მოსულა ამოღებულის ხმლებით. აფიცერს მიჰვარდა თურმე ერთი გენერალი, რომელიც ხალხში ყოფილა, და მაღლა უკითხავს: ვინ მოგცათ სროლის ნებაო? ამაზედ აფიცერს გულ-მოსული უპასუხნია: „ეხლავე წადით აქედან, თქვენო აღმატებულებავო“. 4 საათზე ყაზანის ტაძართან შეკრებილა მიტინგზე 100 ათასამდე ხალხი წითელის დროშებით და შეტაკება მოსვლია შავ-რაზმელების ბრბოსთან. რაზმელების მედროშე იქვე მოუკლავთ რევოლვერით და დანარჩენებიც გაქცეულან. სემიონოვის ხიდთან ახალი შეტაკება მომხდარა იმავე დღეს: აქ პატრიოტ ვაჭრებს სტუდენტების ცემა-ტყეპა გაუმართავთ.

მანიფესტაციები. ბევრი სისხლი იღვრება, შავი რაზმელები და პოლიციელები არ ზოგავენ თავისუფლების დანატრულ ხალხს, მაგრამ ხალხი ძველებურად გულს არ იტეხს და ბიუროკრატიის დამარცხებას ყველგან დიდებულად დღესასწაულობს.

„დიდებულ სურათს წარმოადგენდა ასი ათას დემონსტრანტების კრება ყაზანის ტაძართან (პეტერბურგში) და წითელ დროშების ფრიალი. ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული. პირველად სოციალ-რევოლიუციონერების წარმომადგენელს ულაპარაკნია: ქაღალდზე დაწერილ თავისუფლებისა ნუ გჯერათ, მზად იყავით შეიარაღებულ წინააღმდეგობისათვისო, ეუბნებოდა ხალხს ორატორი. ამას მოჰყვა ბოცმანი ერთ გვარდიელ ეკიპაჟისა: წამოდით ჩემთან ფლოტის მე-8, 14 და 18-ე ეკიპაჟებთან, იქ ყველანი მზად არიან იარაღით შემოუერთდნენ დემონსტრანტებს და მათთან ერთად იმოქმედონო. მთელი ეს ამოდენა ხალხი ურას ძახილით მიეგება ბოცმანის ამ განცხადებას. შემდეგ ულაპარაკნიათ სხვა და სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების წარმომადგენლებს, აგრეთვე მუშათა საბჭოს დეპუტატსაც: საბჭოს გადაწყვეტილი ჰქონია განაგრძონ პოლიტიკური გაფიცვა, სანამ მოთხოვნები არ იქნება ასრულებული, სანამ ჯარს არ გაიყვანენ ქალაქიდან 50 ვერსტის მანძილზე და ჯარის მაგიერ ხალხის მილიცია არ იქნება დაარსებული. გარდა ამისა თხოულობდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას, მეფის დამჟაშების გადაყენებას, დაუყოვნებლივ ამნისტიას. საღამოს შვიდ საათისთვის 300 ათასი მაინც იყო შეკრებილი და ეს ამოდენა ხალხი გაემართა უნივერსიტეტისაკენ. ყველაზე წინ, პირველ წყებაში მიდიოდა სამი აფიცერი (პაგონები ხელსახოცში ჰქონდათ გახვეული) და იქით და აქეთ სამ-სამი სალდათი მიჰყვებოდნენ. ყველა ხელ გადახვეულები იყვნენ. ერთ სალდათს წითელი დროშა მიჰქონდა.

გაფიცვა. საერთო პოლიტიკური გაფიცვა პეტერბურგში 11 ოქტომბერს დაწყებულა და 15 ოქტომბრისათვის უკვე გაფიცული ყოფილან ბანკებისა და კანტორების მოსამსახურენიც. ოლქის სასამართლოს სხდომები შეწყვეტილა. ნაფიცი ვექილები და სასამართლოს მთელი კანცელარია გაფიცვას მიმხრობიან. გაფიცულა კომერციული სასამართლო და ყველა მომრიგებელი მოსამართლენიც.

შეკრებილან სენატის კანცელიარიის მოხელენიც და უმრავლესობას გადუწყვეტია გაფიცვა. კრების დროს შემოსულა ორი ობერპროკურორი და გამოუცხადებიათ შეკრებილებისათვის: „ნებას არ მოგცემთ სენატში კენჭის ყრა და გაფიცვა გაჰმართოთ; ვინც გაიფიცება, ყველას დავითხოვთ სამსახურიდანო“. მიუხედავათ ამისა მოხელეთა უმრავლესობას აუკვეთია მუშაობა 17 ოქტომბრიდან.

გაფიცულან სახელმწიფო ბანკის ყველა მოხელენიც. როცა ესენი სათათბიროდ იყვნენ შეკრებილი, მოსულა ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი და სხვათა შორის შემდეგი პატეტიური სიტყვები უთქვამს: „კარგად მოიფიქრეთ, ბატონებო, რას გეტყვიან შემდეგში თქვენი შვილები. ისინი გკითხავენ თქვენ: „მამა, რას შვრებოდი მაშინ, როცა ჩვენი სამშობლო მძიმე არეულობას განიცდიდა? წესიერებას ემხრობოდი, თუ მის წინააღმდეგ იყავი? რა პასუხი უნდა მისცეთ თქვენს შვილებს“. მინისტრის სიტყვას საერთო სტვენით შეხვდნენ. შემდეგ ერთი მოხელეთაგანი შედგა სკამზე და აღელვებულის ხმით სთქვა: „ამხანაგებო! ეხლავე წავიდეთ აქედან. თუ ამას არ ვიზამთ, რა უნდა ვუთხრათ ჩვენს შვილებს, როცა ისინი დაგვეკითხებიან: თავისუფლებას მხარს აძლევდით, თუ ეწინააღმდეგებოდით“-ო. აღტაცებით მიეგებნენ ამხანაგის სიტყვას მოხელენი და ყველანი წავიდნენ.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 27 ოქტომბერი. გაზეთი „ბირჟ. ვედ.“ იუწყება: მთავრობის წრეებში გადაჭრით ამბობენ, რომ ადგენენ პოლონეთის სრულ ავტონომიის პროექტსაო. მთავრობამ არ იცის, როგორ მოიქცეს კავკასიის შესახებ, რადგან კავკასია მრავალის ერით არის დასახლებული. ეს საკითხი გადასაწყვეტად სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა.

პეტერბურგი, 27 ოქტომბერი. რადგანაც არ არსებობს ისეთი კანონი, რომლითაც შეიძლებოდეს დაისაჯოს დამნაშავე მცხოვრებლების აჯანყებისთვის მთავრობის ორგანოების წინააღმდეგ განზრახ ცრუ ცნობების გავრცელებით, ამიტომ იუსტიციის მინისტრმა მანასეინმა წარადგინა სახელმწიფო საბჭოში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი, რომელშიაც აღნიშნულია, როგორ უნდა აგონ პასუხი დამნაშავეებმა მთავრობის დადგენილებათა და თანამდებობის პირების მოქმედებაზე ცრუ ცნობების გავრცელებისთვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 ოქტომბერი.

რეველი, 27 ოქტომბერი. ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობენ. რეველის მაზრაში ბრბოებმა აიკლეს ათი მამული.

კიევი, 27 ოქტომბერი. გუბერნატორი აცხადებს, რომ იმას მრავალი ცნობები მისვლია ქალაქის პოლიციის უკანონო და ბოროტ-მოქმედების შესახებ არეულობის დროს და სთხოვს ყველა დამსწრესა და ამის მნახველს, შეიტანონ მასთან საჩივარი.

პეტერბურგი, 27 ოქტომბერი. ინიშნებიან მინისტრებად: ფინანსთა—ხაზინის დეპარტამენტის დირექტორი—შიპოვი. მიწათ-მოქმედებისა—ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კუტლერი, სავაჭრო—ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ტიმირიაზევი, გზათა—სამხრეთ-დასავლეთის გზათა უფროსი ნემეშაევი, სახელმწიფო კონტროლიორად—სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ფილოსოფოვი.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. ცხოვრება თავის დონეზე დადგა. დემონსტრაციები შესწყდა, თეატრები ღიაა და რესტორან-სასტუმროები ვაჭრობენ. ოთხი დღეა, რაც შეტაკება აღარ ყოფილა. ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობის ხმები სიმართლეს მოკლებულია. რკინის გზები წესიერად მუშაობენ. ქარხნების გაფიცულთა მომეტებული ნაწილი შეუდგა მუშაობას. სტუდენტების თხოვნით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიწყო ლექციების კითხვა.

ვენა, 27 ოქტომბერი. „ნოიე-ვინერ-ტაგებლატი“, აღნიშნავს რა ვიტტეს ძნელ მდგომარეობას რეფორმების გავვანის საქმეში, ასახელებს უკვე მიღწეულ მიზანს, რომელიც იხატება 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებაში. გრაფ ვიტტე ბრძოლასა სწევს ორ ფრონტს შუა,—რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს რეფორმის სახელის გატეხას და წინააღმდეგ რადიკალურ ჯგუფისა, რომელიც არაფრით არ კმაყოფილდება. გაზეთი რადიკალებს სიფრთხილესა და კანონთა შეთანხმებით დახმარებას ურჩევს კონსტიტუციის გავვანაში. იმათ მოთმინება უნდა იქონიონ და ხელი არ შეუშალონ რეაქციონერებს ლიბერალებზე გალაშქრებით. ყველა პროგრესისტები უნდა დაეხმარნენ კონსტიტუციის გავვანის დიდ საქმეში.

ოდესა, 27 ოქტომბერი. იტალიის კონსულის მოკვლის შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია. სასტიკი გამოძიებაა არეულობის შესახებ. ჯარების უფროსი აცხადებს, რომ თავდასხმის საწინააღმდეგოდ ყოველივე ზომაა მიღებული. ადგილობრივი გარნიზონი გაძლიერებულია.

განჯა. 27 ოქტომბერი. ამბავი მოვიდა, რომ სარისაში სომხებს თათრები დაუხოციათო, რამაც დიდად ააღელვა თათრების მცხოვრები ხალხი. სომხის დუქნები დაკეტილია.

ჩიტა, 27 ოქტომბერი. საღამოს 10 ს. გუშინ, 26 ოქტომბერს, ჩიტასთან ახლოს, სანიტარულ მატარებელს დაეჯახა საქონლის მატარებელი. 8 სალდათი მოკლულია, 9 მძიმედ დაჭრილი, 7 მსუბუქად. კონდუქტორთა ბრიგადა არ დაშავებულა. 26 ოქტომბერს მე-101-ე რაზიეზდთან დაიმტვრა საქონლის მატარებელი. ხუთი კაცი დაიწვა.

ვენა. გზათა მინისტრმა წინადადება მისცა რკინის გზის მოსამსახურეებს, შეუდგნენ მუშაობას და თავიდან აიცილონ ის მძიმე შედეგები, რომელნიც, შეიძლება, მოჰყვეს გაფიცვას. თუ მუშაობას შეუდგებით, თქვენი უთვალცხოვრება გაუმჯობესებული იქნებაო.

ლონდონი, 28 ოქტომბერი. ბალფურმა გილდჰოლში სიტყვა წარმოსთქვა საგარეო პოლიტიკაზე. რუსეთი—სთქვა მ-ნ-ცა და ქვეყნის ყურადღებას იპყრობს თვითმმართველობის სასარგებლოდ აღძრულ მოძრაობითო. არა მგონია, დიდს ბრიტანეთს არა სურდეს, რომ რუსეთის მოძრაობამ, რომელსაც დასაწყისში შავბნელი დღეები მოჰყვა, გაიმარჯვოს და მით იხსნას მრავალ რიცხოვანი ხალხი განსაცდელისაგან.

ლონდონი. „პალ-მალ-გაზეთ“-ი აღნიშნავს, რომ ბიუროკრატია სამუშაო მანქანაა რუსეთის საზოგადოებისა. ამ ბიუროკრატიულ მანქანის წევრები თანდათან უნდა იქნან გადაყენებული. თავდაპირველად უნდა დაითხოვონ ისინი, ვისაც მეტი დანაშაული მიუძღვის, მაგრამ არ შეიძლება ერთბაშად გადააყენონ რამდენიმე ასი მოხელე. თუ ვიტტეს კაბინეტი თანდათან გადააყენებს ბიუროკრატიის ყველაზე უარესს ელემენტებს, იმ შემთხვევაში მის გარშემო შემოკრბება რუსის საზოგადოების უმეტესობა.

ყაზანი. გაფიცვა ჯერაც არ შეწყვეტილა. მესტამბეები არ უთმობენ მუშებს. გაზეთები არ გამოდის.

პეტერბურგი, 26 ოქტომბერი. გრაფ ვიტტეს წერილი მისწერა საერობო მოღვაწე შიპოვმა. ამ წერილში ის თანაუგრძნობს ვიტტეს ყოვლადქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნულ რეფორმებს, მაგრამ უარს ამბობს სახელმწიფო კონტროლიორის ადგილზე, რადგანაც კაბინეტში საზოგადო მოღვაწეების მოწვევას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ რომ მონაწილეობას მიიღებდნენ სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფების წარმომადგენელნი, ქალაქებისა და ერობებისა, მაგალითად, რომელნიც წინასწარ შეთანხმებას მოახდენდნენ საერთო მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად. ახლა კი გამოირკვა, რომ შეუძლებელია შეთანხმება მოხდეს საერობო სიეზდის იმ გავლენიან პირებთან, რომელნიც მემარცხენეებს ეკუთვნიან. ამას გარდა შიპოვი პირადათ აცხადებს, რომ მას არ შესწევს ძალა იტვირთოს სახელმწიფო საქმეების კანტროლერობა. მანუხინი დ[illegible] ლამზდორფი მინისტრებათ რჩებიან, [illegible]თ, სად მინისტრების კაბინეტი შეიძლ[illegible] წარბილად ჩავთვალოთ, გარდა შინაგა[illegible] განათლების მინისტრების თავისუფალ ადგილებისა.

კრონშტადტში სამხედრო წესებს გამოაცხადებენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

27 ოქტომბერი.

კრონშტადტი. არეულობა მოახდინეს ზოგმა საზღვაო კამანდებმა ბევრია მოკლული და დაჭრილი. კამანდებმა ხელთ იგდეს თოფები, პატრონები და ტყვიის მტყორცნელები. ცეცხლი უკიდია ქვის სახლებსა და რამდენიმე სავაჭროებს. აყარებული მგზავრი მიდის ქალაქიდან გემებით. მატროსები მთვრალები არიან, გუბერნატორისა და კომენდანტის სადგომებს ტყვიის მტყორცნელებით იცავენ. მაღაზიები დაკეტილია. გაძარცვეს ოქრომჭედლები.

რიგა, 27 ოქტომბერი. რადგანაც გუშინ არეულობა მოხდა, ამიტომ სასწავლებლები დაიხურა გამოურკვეველ დრომდე.

ვილნო, 27 ოქტომბერი. დღეს გუბერნატორის სახლთან გრაფ პალენის სადგომიდან, მოდენილთა ჯგუფს პოლიციაში მოსამსახურეებისას, ესროლეს ბომბა, რომელმაც მოჰკლა ისპრავნიკის თანაშემწე ემელიანოვი და მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი კლიმოვიჩი, ბოქაული ზაფერპულო, იქვე შემთხვევით მიმავალი კაცი და ერთიც მეეტლე; მსუბუქადაა დაჭრილი ბოქაულის თანაშემწე ვიხოდცევი და გაკაწრულია ბოქაული პონომარევი. ორ დამნაშავეში ერთი დაიჭირეს სალდათებმა და მეეტლეებმა.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის ერობათა ორგანიზაციას ფინანსთა სამინისტროდან მოუცდა ერთი მილიონი მანეთი რუსეთში დამშეულებისთვის დასახმარებლად.

ვარშავა. რკინის გზის მოსამსახურეებმა დაადგინეს, განაგრძონ გაფიცვა.

მოსკოვი. იანვრის პირველ რიცხვებში განზრახულია გამართონ სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის წარმომადგენელთა სიეზდი.

პეტერბურგი. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგად დაინიშნა ოსტროუმოვი, დირექტორი ამავე სინოდის საოჯახო სამმართველოსი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს პროექტს კავშირების თავისუფლებისას. პროექტის დედა აზრით უნდა გაწესებულ იქნას გამოცხადებითი წესრიგი საზოგადოებათა დაარსებისათვის.

კიევი, 27 ოქტომბერი. კიეველებში გაავრცელეს ფურცლები, რომელნიც დაწერილია ვითომც კიევო-პეჩორის ლავრის ვიღაც მოხუცის კურთხევით; ამ ფურცლებით იწვევენ მცხოვრებლების ერთ ნაწილს მეორის საჟლეტად. ჩიგირინის ეპისკოპოზი პავლე არღვევს ამ ხმებს და ამბობს, რომ ეს ფურცლები ვინმე ურწმუნო და ღვთის პირიდან გადავარდნილ კაცის ნაწარმოებია.

ლონდონი. სტრუვეს ჟურნალი „ოსვობოჟდენიე“ ახლა პარიზის მაგივრად, პეტერბურგში გამოიცემა.

ვენა, 27 ოქტომბერი. ებრაელთა ვენის კავშირის დეპუტაციამ მიჰმართა თხოვნით გოლუხოვსკის, რომ მას მიეღო ინიციატივა სხვა სახელმწიფოებთან ერთად წარსადგენად რუსეთში ებრაელთა დევნის შესახებ. გოლუხოვსკიმ წინადადება უარჰყო იმ მოსაზრებით, რომ ეს სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაჩხირვა იქნებოდა იმის მხრივ. მოძრაობა სახელმწიფო რკინის გზების გაფიცულთა მოსამხრობად თანდათან ძლიერდება. უფრო სერიოზული შედეგი მოსალოდნელია რამდენიმე დღის შემდეგ. გაფიცვა სახალხო მატარებლებზედაც გადავიდა. მთავრობასა და რკინის გზების მოხელეთა შორის მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა.

ტამბოვი, 28 ოქტომბერი. ხმები ტამბოვსა და მის მაზრაში მომხდარ თავდასხმა-აკლებაზე გამოგონილია. აქ ყოველ მხრივ მშვიდობიანობაა; მხოლოდ აგრარული მოძრაობაა კირსანოვის მაზრაში, სადაც გაიგზავნა ჯარები.

ვილნო, 28 ოქტომბერი. იმ დამნაშავემ, რომელმაც გუშინ ყუმბარა გადაისროლა, თავის თავს ნეველსკი უწოდა. მოკლულ იქმნა ისპრავნიკის თანაშემწე ემელიანოვი. დაჭრილი ხე-ტყის მრეწველი შნეიდერი გარდაიცვალა საავადმყოფოში ორი საათის შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**..

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	87⅓
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. სეს. მოგ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. უფასო ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბარსა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო. ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის. უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორსი ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ახლად კურს დამთავრებული

ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს

ჭრა-კერვა

სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანჯღავაძის სახ. **მ. ყიფიანისა.** (15—389—14)

მასწავლებელთა საყურადღებოდ

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა.“ (10—414—4)

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

ი. ფ. იურგენსისა

სპობს ქორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და დანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია **ოქროს მედალი, ლონდონში** 1893 **წელს**

ერთი ნაჭერი ღირს 50 **კაპ.,**
ხოლო ნახევარი 30 **კაპ.**

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაკო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის **გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში.** (მც. 14—10)

✦ კბილებს ✦

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—6).

ექიმი

მ. დ. კილოსანიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—16)



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

საბითუმოდ გაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

წელიწადი მეორე — საყმაწვილო ჟურნალი — **წელიწადი მეორე**

„ნაკადული“

სურათებით

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

გამოვა თვეში ორჯელ სამ წიგნად ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა შეიძლება: რედაქციაში და „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში. და მ. ი. დემურიას სახლში ალექს. № 5. ქალაქ გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ქვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სოხუმში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ხვთისავარაშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში**: ირაკლი დეკანოზოვთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან, ერევანში მარიამ ფლენიშვილთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩათვლილი.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція НАКАДУЛИ.**

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 საათამდის. (5—უ.—4)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 30 კ. 50 კ.

ადრესი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

(წლ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოლემა პაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე — საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფუვაი, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები — **ზინგერის ამხანაგობისა**

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ხელწარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—19).

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ.ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩა, ტელეფონი № 372.